



მარნეულის სახელმწიფო კოლეჯი
MEDICAL COLLEGE OF MARNEULI

2015-2016 წლის თვითშეფასების ანგარიში

ამოცანა #1

მიზანი--- სწავლების ხარისხის ამაღლება

აქტივობა ---სიმულაციური და როლური თამაშობების ჩატარება, გაკვეთილზე დაკვირვების მეთოდის დანერგვა

შემსრულებელი ---პროფესიული მასწავლებლები , ხარისხის სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელი

ვადა ---მთელი წლის განმავლობაში

მტკიცებულება ---მეცადინეობაზე დასწრების კითხვარები და ოქმები

შესრულებულისამუშაო

1. მოდულების განხორციელების პროცესში მთელი წლის განმავლობაში დაინერგა და დაიხვეწა მეცადინეობაზე დასწრება და ამ პროცესის დაოქმების ტექნიკა
2. „მოლარე-ოპერატორის“ მოდულურ პროგრამის ფარგლებში სისტემატურად ხდებოდა სომულაციური და როლური თამაშობები და მათზე დაკვირვება
3. 16, 17 და 24 დეკემბერს ჯანდაცვის სკოლის სტუდენტებისათვის ჩატარდა ოლიმპიადა „ავადმყოფის მოვლაში“ ხარისხის მართვის სამსახური მიერ დამტკიცებული დებულების მიხედვით. სტუდენტები დაიყვნენ სამკაცციან ჯგუფებად და ასრულებდნენ ხელმძღვანელის მიერ მიცემულ დავალებას. სტუდენტების უნარები ფასდებოდა ჟიურის მიერ. ოლიმპიადა ჯანსაღი კონკურენციის პირობებში მიმდინარეობდა
4. 2 ივნისს ჩვენი კოლეჯის ჯანდაცვის სკოლის პროფესიულმა სტუდენტებმა წარმოადგინეს თემატური პრეზენტაციები ანატომიაში, ფარმაკოგნოზიაში და ჰიგიენაში.

გამოკვეთილი ხარვეზები

1. ფარმაციის კლას-კაბინეტში - სიმულაციურ აფთიაქში არ ჩატარდა არც ერთი სიმულაციური თამაში, რაც გაუღვივებდა სტუდენტებს მომავალ უნარებს და აფთიაქში კლიენტთან ქცევის წესებს

ამოცანა #2

მიზანი - პროფორიენტაციის ღონისძიებათა დაგეგმვა და ჩატარება

აქტივობა- რეკლამის მომზადება, ვიზიტები რეგიონის სკოლებში, რეგიონული პროფორიენტაციის სამსახურების მიერ დაგეგმილი ვიზიტების მიღება

შემსრულებელი - ხარისხის მართვის სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული მასწავლებლები

ვადა - მელი წლის განმავლობაში

მტკიცებულება - პროფორიენტაციის ახალი პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავება-დანერგვა, რაიონისა და ქალაქის სკოლების დირექტორების ჩართულობის გაზრდა, სარეკლამო ბუკლეტების, ახალი სარეკლამო ვიდეორგოლის მომზადება.

შესრულებული სამუშაო

1. 15 აპრილს მარნეულში, ა.ა.ი.პ „კულტურის ცენტრში“ კერძო კოლეჯების ასოციაციის ორგანიზებით ჩატარდა პროფესიული განათლების ფესტივალის პირველი ეტაპი რომელზედაც მოწვეულები იყვნენ რეგიონის სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები. ფესტივალზე წარმოდგენილი იყო სხვადასხვა პროფესიული სასწავლებლის სტენდები და მათ მიერ განხორციელებული პროგრამების სარეკლამო ფლაერები. მარნეულის სამედიცინო კოლეჯმა მონაწილეობა მიიღო ამ ფესტივალში და, რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე, დიდი დაინტერესება დაიმსახურა სტუმრებს შორის. ყველა სტუმარს გადაეცა კოლეჯის და პროგრამების ფლაერები და სარეკლამო ბუკლეტები
2. 9 ივნისს ქ ქუთაისში ჩატარდა ზემოხსენებული ფესტივალის მეორე ეტაპი, სადაც ასევე, მონაწილეობა მიიღო მარნეულის სამედიცინო კოლეჯმა. აღსანიშნავია, რომ ქუთაისის სტუმრებს შორის დიდი დაინტერესება და მოწონება დაიმსახურა „მოლარე-ოპერატორის“ მოდულურმა და „მოლარის“ პროფესიულმა პროგრამებმა
3. დეკემბერში პროფორიენტაციის მიზნით ესტუმრნენ მარნეულის #5 საჯარო სკოლისა და სოფელ მარადისის საჯარო სკოლის მოსწავლეები.
4. 28 აპრილს დირექტორის ბრძანებით #11 შეიქმნა საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროფორიენტაციის სამსახური.

სამსახურის მიზანია:

- კოლეჯის საქმიანობის პოპულარიზაცია;
- კოლეჯის პარტნიორ ორგანიზაციებთან, დამსაქმებლებთან, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა ხარისხის ამაღლების მიზნით;
- დამსაქმებელთა და შრომის ბაზრის მოთხოვნების იდენტიფიცირება;
- დაინტერესებული პირების პროფორიენტაცია და კარიერული კონსულტირება.

გამოკვეთილი ხარვეზები

არ ხდება ინტენსიური და პირადი თანამშრომლობა სკოლის დირექტორებთან, სკოლებში ვიზიტები.

ამოცანა #3

მიზანი - ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლება

აქტივობა- შიდა ტრენინგები კოლეჯის პროფესიული მასწავლებლებისათვისა და პერსონალისათვის

სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ ტრენინგებში მონაწილეობა

შემსრულებელი - ხარისხის მართვის სამსახური

ვადა - მთელი წლის განმავლობაში

მტკიცებულება - ხარისხის სამსახურის ოქმები, შიდა მხარდაჭერის ჯგუფის სხდომების ოქმები, ფოტომასალა, სერტიფიკატები

შესრულებული სამუშაო

1. 15 და 16 ოქტომბერს კოლეჯის მასწავლებლებისათვის და ადმინისტრაციისათვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე: მოდულების განხორციელების თავისებურებები
2. 14-15 ნოემბერს კაჭრეთში, სასტუმრო „ამბასადორში“, გაიმართა სემინარი მოდულური პროფესიული პროგრამების დანერგვის საკითხებთან დაკავშირებით. სემინარში მონაწილეობა მიიღეს კერძო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების: მარნეულის სამედიცინო კოლეჯი,
3. მთელი სასწავლო წლის განმავლობაში „ბანკის მოლარე-ოპერატორის“ მოდულური პროფესიული პროგრამის დანერგვისა და ხელშეწყობის ფარგლებში კოლეჯში ახორციელებდნენ ვიზიტს გარე მხარდაჭერის ჯგუფის ექსპერტები და კონსულტაციებს და ტრენინგებს უტარებდნენ კოლეჯის თანამშრომლებს
4. 22 მარტს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის ბანკის მოლარე-ოპერატორის პროგრამის ხელმძღვანელმა ნათია ბერუაშვილმა გაიარა ტრენინგი მოდულური პროგრამის დანერგვისა და მხარდაჭერის სპეციალისტებისათვის, რომელიც ჩატარდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.
5. 26-27 მარტს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის მენეჯერმა ნინო გომელაურმა, ბანკის მოლარე-ოპერატორის პროგრამის ხელმძღვანელმა ნათია ბერუაშვილმა და პროფესიულმა მასწავლებელმა სოფიო გომელაურმა გაიარეს ტრენინგი თემაზე „კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება პროფესიულ განათლებაში“, რომელიც ჩატარდა საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის მიერ. ნინო გომელაურს, ნათია ბერუაშვილს და სოფიო გომელაურს გადაეცათ სერტიფიკატები, რომლებიც ინახება მათ პირად საქმეებში.
6. 5-6 აპრილს მარნეულის სწამედიცინო კოლეჯის მაია ოკმელაშვილი დაესწრო ორდღიან ტრენინგს თემაზე „კარიერული განათლება და დაგეგმვა“ პროფესიული კოლეჯების კარიერის მენეჯერებისთვის და მანდატურის სამსახურის წარმომადგენლებისთვის», რომელიც სასტუმრო "ციტრუსში" ჩატარდა. მაია ოკმელაშვილს გადაეცა ტრენინგის დამდასტურებელი სერტიფიკატი
7. 7-8 აპრილს კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახურის სპეციალისტი სოფიო გომელაური მივიღინებით იმყოფებოდა ლატვიაში, ქალაქ რიგის ეკონომიკისა და კულტურის საუნივერსიტეტო კოლეჯში, სადაც ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია "21-ე საუკუნის გამოწვევები ეკონომიკასა და კულტურაში".
8. 17-18 აპრილს MCA პროექტის „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის“ ორგანიზებით ჩატარდა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს ტრენინგი, სადაც გარე ვერიფიკატორის სტატუსით მოწვევა მიიღო მარნეულის სამედიცინო კოლეჯის იურისტმა სოფიო გომელაურმა.
9. 15,16, და 17 ივლისს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის საინფორმაციო ტექნოლოგიების მასწავლებელმა ლამარა მაჭავარიანმა მიიღო მონაწილეობა ტრენინგში „საწარმოში ტრენინგი კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორის

მოდულური მასწავლებელთათვის“ პირველ ეტაპში. ტრენინგის მეორე ეტაპი ჩატარდა 22,23,24 ივლისს.

მასწავლებელს გადაეცემა ტრენინგის მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

10. 9 ივნისს ქ.ქუთაისში მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის ორგანიზებით გაიმართა პროფესიული განათლების ფესტივალის მეორე ეტაპი, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა მასწავლებელთა და სტუდენტთა პირველი სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის პროფესორმა მასწავლებელმა ნანა გვაზავამ და ბიზნესის ადმინისტრირების სკოლის პროფესორმა სტუდენტმა ნინო გუჯეჯიანმა. ნანა გვაზავა - "საგნობრივი სწავლებისა და მოდულური სწავლების შედარებითი ანალიზი".
11. 15 ივნისს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის მასწავლებლების მონაწილეობით ჩატარდა პირველი სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია, რომელიც გაიმართა დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის მარნეულის ფილიალში. კონფერენცია მიემდინა მარნეულის სამედიცინო კოლეჯის 25 წლისთავს.

კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს კოლეჯის მასწავლებლებმა:

- ნანა გვაზავა - "საგნობრივი სწავლებისა და მოდულური სწავლების შედარებითი ანალიზი".
- ნანა ხარაიშვილი - „შოკი“
- ნატალია გოგოხია - „ქალთა წინადაცვეთის სასტიკი ტრადიცია“
- ხათუნა იოვაშილი - „კბილის ცვეთა“

გამოკვეთილი ხარვეზები

აუცილებელია მომავალში დაიგეგმოს და განხორციელდეს ადმინისტრაციის თანამშრომელთა ტრენინგები და მათთვის სხვადასხვა თანამედროვე ინოვაციის გაცნობა

ამოცანა #4

მიზანი - მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივი განახლება საგანმანათლებლო პროგრამებთან შესაბამისობაში მოყვანა

აქტივობა- სასწავლო ტექნიკისა და სასწავლო მასალების, ასევე კომპიუტერული ტექნიკის შეძენა

შედმსრულებელი მენეჯერი, ბუღალტერი

ვადა - მთელი წლის განმავლობაში

მტკიცებულება - სასწავლო აფთიაქისა და მოლარის კლას-კაბინეტებისათვის ინფრასტრუქტურული მოწყობა, რემონტი, ახალი კომპიუტერებისა და სხვა ტექნიკის შეძენა, ახალი მულაჟებისა და სასწავლო ტექნიკის შეძენა

შესრულებული სამუშაო

1. სასწავლო წლის დასაწყისისათვის შერემონტდა და შეკეთდა მოძველებული ან/და დასზიანებული ინფრასტრუქტურა
2. სასწავლო კლას-კაბინეტებისათვის შეძენილ იქნა მულაჟები, სხვადასხვა სახის სასწავლო აღჭურვილობა (საჭიროებისამებრ)
3. შეძენილი იქნა ახალი კომპიუტერები

გამოკვეთილი ხარვეზები

არ შეინიშნება

ამოცანა #5

მიზანი - საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასება

აქტივობა- სტუდენტებსა და მასწავლებლების ანონიმური გამოკითხვა, კითხვარების შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზი, მეცადინეობაზე დაკვირვება, ახალი პროექტების დაგეგმვა და განხორციელება მეცადინეობის ხარისხის ასამაღლებლად

შედმსრულებელი - ხარისხის მართვის სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული მასწავლებლები

ვადა - მთელი წლის განმავლობაში მინიმუმ 2-ჯერ , მოდულების დასრულების შემდეგ

მტკიცებულება - მეცადინეობაზე დასწრების ოქმები, ხარისხის სამსურის ოქმები

შესრულებული სამუშაო

1. მარტი-მაისის ფარგლებში ჩატარდა სტუდენტთა ანონიმური გამოკითხვა
2. გამოკითხვის ანკეტების მიხედვით გაკეთდა სტუდენტთა კმაყოფილების ანალიზი
3. ივნისის თვეში მოდულის სტუდენტებისათვის და მასწავლებლებისათვის შემუშავდა ანონიმური ანკეტების ელექტრონული ფორმა და გამოკითხვა შედგა ონ-ლაინ რეჟიმში

გამოკვეთილი ხარვეზები

არ ჩატარდა გამოკითხვა დეკემბრის თვეში საგნობრივი პროფესიული პროგრამების სტუდენტებისათვის, რაც შეიძლება ჩაითვალოს უხეშ დარღვევად

ამოცანა #6

მიზანი - არაქართულენოვანი სტუდენტების ინტეგრაცია

აქტივობა- სახელმწიფო ენის ცოდნის (საკომუნიკაციო) გაღრმავებისკენ მიმართული პროექტები არაქართულენოვანი სტუდენტების აქტიური ჩართულობით,

შემსრულებელი - ხარისხის მართვის სამსახური, პროფესიული მასწავლებლები

ვადა - მთელი წლის განმავლობაში მინიმუმ 2-ჯერ , მოდულების დასრულების შემდეგ

მტკიცებულება - ხარისხის სამსახურის ოქმები, ფოტო და ვიდეო მასალა

შესრულებული სამუშაო

1. 15 აპრილს ჩატარდა კერძო კოლეჯების ასოციაციის მიერ ორგანიზებული სტუდენტური თვითშემოქმედების კონცერტი, სადაც მონაწილეობა მიიღეს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის სტუდენტებმა და წარმოადგინეს ვრცელი ნომერი, რომელიც მთელ მეორე განყოფილებას იკავებდა. ნომერი მთლიანად მიეძღვნა ქართული ენის დღეს -14 აპრილს და, ზოგადად, ქართული ენის სლენგისაგან გაწმენდას. წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ეროვნების სტუდენტებმა

2. როლური თამაშისა და სიმულაციური თამაშის მსვლელობისას მასწავლებელი განსაკუთრებულად ცდილობს, ჩართოს არაქართულენოვანი სტუდენტი და მისცეს მას დავალებები სახელმწიფო ენაზე, რაც ხელს უწყობს ენობრივი ბარიერის მოხსნას

გამოკვეთილი ხარვეზი

ხარვეზები მნიშვნელოვნად არ გამოიკვეთა, თუმცა, სასურველია, ქართული ენისადმი მიძღვნილი ღონისძიება მომავალში ჩატარდეს ცალკე, რათა რეგიონის სტუდენტებმა უფრო მეტად აღიქვან ამ დღის მნიშვნელობა, უკეთესი იქნება, თუ აღინიშნება არა ქართული ენის დღე, არამედ ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი კვირეული

ამოცანა #7

მიზანი - სტუდენტებისათვის საინტერესო და მრავალფეროვანი ღონისძიებების დაგეგმვა

აქტივობა- ექსკურსიები საქართველოს სხვადასხვა ქალაქში, სტუდენტური კონფერენციები, პრეზენტაციები, სპორტული ღონისძიებები ა.შ.

შემსრულებელი - ხარისხის მართვის სამსახური

ვადა - მთელი წლის განმავლობაში მინიმუმ 2-ჯერ

მტკიცებულება - ხარისხის სამსახურის ოქმები, ფოტომასალა

შესრულებული სამუშაო

1. 12 დეკემბერს სტუდენტებისათვის განხორციელდა ექსკურსია ძველ თბილისში. ექსკურსია დასრულდა კინოთეატრში კინოსეანსზე ვიზიტით
2. 22 დეკემბერს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის ჯანდაცვის სკოლის პროფესიული პროგრამების „პრაქტიკოსი ექთანი“ და „ექთნის თანაშემწე“ პროფესიული პროგრამის სტუდენტებმა წარმოადგინეს პრეზენტაცია თემაზე „ინფექციის კონტროლი და პრევენცია“. პროექტის ხელმძღვანელი- პროფესიული მასწავლებელი ნანა გვაზავა. პრეზენტაციის მონაწილეებმა ხელმძღვანელის მითითებითა და დახმარებით მოიძიეს თემატური მასალა ინტერნეტით, დაამუშავეს თემა და ელექტრონული ვერსიის სახით წარმოადგინეს. ელექტრონული ვერსიის დამუშავებაში სტუდენტებს ხელმძღვანელობდა პროფესიული მასწავლებელი ლამარა მაჭავარიანი.
3. 28 დეკემბერს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის პროფესიულმა სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის მიერ ორგანიზებულ სტუდენტურ კონცერტში და წარადგინეს ქორეოგრაფიული ნომერი “ცეკვა რაჭული“. კონცერტის მსვლელობისას გაიმართა კონკურსი საუკეთესო საკონცერტო ნომრების გამოსავლენად. მარნეულის სამედიცინო კოლეჯის სტუდენტებმა გაიმარჯვეს კონკურსის კომინაციაში: საუკეთესო საცეკვაო ნომერი, და გადაეცათ სამახსოვრო პრიზი.
4. 22 დეკემბერს მარნეულის სამედიცინო კოლეჯში საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციისა და საქართველოს ექთნების ასოციაციის ერთობლივი პროექტის ფარგლებში ჩატარდა ლექცია-პრეზენტაცია თემაზე "სასიცოცხლო ნიშნების მონიტორინგი" . პრეზენტატორი - ქ-ნი ქეთევან გარსევანიშვილი (საქართველოს ექთნების ასოციაციის პრეზიდენტი), რომელსაც დაესწრნენ კოლეჯის სტუდენტები და მასწავლებლები
5. 15 აპრილს მარნეულის ა.ა.ი.პ „კულტურის ცენტრში“ საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის ინიციატივითა და ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერით გამართული პროფესიული განათლების ფესტივალის ფარგლებში ჩატარდა

სტუდენტური თვითშემოქმედების კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის სტუდენტებმა

6. 12 მაისს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის ჯანდაცვის სკოლის სტუდენტებისათვის ჩატარდა საინფორმაციო ლექცია - ექთნის მნიშვნელობა ჯანდაცვის სფეროში, რომელიც მიემდგვნა 12 მაისს -ექთნების საერთაშორისო დღეს. ლექციის შემდეგ ჯანდაცვის სკოლის სტუდენტები გაემგზავრნენ თბილისში „საქართველოს ექთნების ასოციაციის“ მიერ ორგანიზებულ საზეიმო წვეულებაზე.
7. მთელი წლის განმავლობაში მარნეულის სამედიცინო კოლეჯის სტუდენტები და მასწავლებლები კოლეჯის ადმინისტრაციის ორგანიზებითა და დაფინანსებით ესწრებოდნენ მაყურებლებად ისეთი გადაცემების გადაღებებს, როგორცაა „ნიჭიერი, „ექიმები“ და ა.შ. ეს ფაქტი განსაკუთრებით აღსანიშნავია და მნიშვნელოვანია რეგიონში და სოფლად მცხოვრები ახალგაზრდობისათვის და ხელს უწყობს მათ ინტეგრაციას

გამოკვეთილი ხარვეზები

ვერ ჩატარდა სპორტული სახეობაში ვერანაირი შეჯიბრი, რაც ხელს შეუწყობდა ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას

ამოცანა #8

მიზანი - სამოქალაქო კულტურის განვითარება სტუდენტებში, სამოქალაქო სექტორთან ურთიერთობა და თანამშრომლობა, სტუდენტებისათვის სამოქალაქო აზროვნების ჩამოყალიბების ხელშეწყობა. უსაფრთხოების საკიტხებზე ცოდნის გაღრმავება

აქტივობა- ჯანსაღი ცხოვრებისა წესის და ჯანსაღი ეკოლოგიის დასამკვიდრებელი ღონისძიებების მოწყობა, სტუდენტებში საკუთარი პრევენტაბელურობისა და ცოდნისა და უნარ-ჩვევების წარმოჩენის უნარის გაღრმავება, ტრენინგი სახანძრო უსაფრთხოებაზე

შემსრულებელი - ხარისხის მართვის სამსახური

ვადა - მთელი წლის განმავლობაში

მტკიცებულება - ხარისხის სამსახურის ოქმები, ფოტომასალა

შესრულებული სამუშაო

1. 21 მარტს მთელ მსოფლიოში აღინიშნება დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე. მარნეულის სამედიცინო კოლეჯში ამ დღის აღსანიშნავად დღეს ჩატარდა საინფორმაციო ლექცია.
2. 13-14 აპრილს, ბაზალეთის სასტუმრო კომპლექსში ჩატარდა სემინარები თემებზე: „ ქალთა შრომითი უფლებები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით“, „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა შრომით ურთიერთობებზე“. სემინარში მონაწილეობა მიიღეს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის პროფესორმა მასწავლებლებმა - ლეილა ქვაცაბაიამ და ნატალია გოგოხიამ

გამოკვეთილი ხარვეზები:

სასურველია კოლეჯში დაინერგოს და ჩატარდეს ეკოლოგიის, ადამიანის უფლებათა, ქალთა უფლებების აღმნიშვნელი დღეები;

არ ჩატარდა არანაირი აქტივობა სახანძრო და, ზოგადად, უსაფრთხოების შესახებ ცოდნის ამაღლების შესახებ. აუცილებელია მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარება სახანძრო უსაფრთხოების შესახებ ცოდნის ამაღლების შესახებ.

ამოცანა #9

მიზანი - ბიბლიოთეკის ფონდის განახლება

აქტივობა ---ახალი სახელმძღვანელოების დამატება. ბეჭდური მასალის ელექტრონული ვერსიების განახლება, დამატება და სისტემატიზაცია

შემსრულებელი--- ხარისხის მართვის სამსახური, ბიბლიოთეკარი

ვადა ---მთელი წელი

მტკიცებულება - ბიბლიოთეკაში არსებული სარეგისტრაციო ჟურნალი და ბიბლიო და ელექტრონული ფონდი

შესრულებული სამუშაო

შეივსო ბიბლიო და ელექტრონული ფონდი

გამოკვეთილი ხარვეზი

სასურველია ეტაპობრივად მოხდეს ბიბლიოთეკის ელექტრონულ სისტემაზე გადასვლა

ამოცანა #10

მიზანი სწავლების ხარისხის ამაღლებისა და სიახლეების დანერგვისათვის მუდმივი ზრუნვა; დასაქმებაზე ორიენტირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დანერგვა და ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიული და ტრანსფერული უნარებით აღჭურვილი სპეციალისტების მომზადება

აქტივობა- „პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში მოდულების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება, განათლებისა და მენიერების სამინისტროსთან თანამშრომლობა, პროგრამების განახლება

შემსრულებელი - სამეთვალყურეო საბჭო, ხარისხის სამსახური

ვადა - მთელი წლის განმავლობაში

მტკიცებულება - ხარისხის სამსახურის ოქმები, შიდა მხარდაჭერის ჯგუფის სხდომის ოქმები, სამეთვალყურეო საბჭოს ოქმები.

შესრულებული სამუშაო

1. დაინერგა მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბანკის მოლარე-ოპერატორი“
2. მოდულური პროგრამის დანერგვისა და მხარდაჭერის ფარგლებში შეიქმნა დანერგვის შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც მუდმივ მონიტორინგს უწევს პროგრამის განხორციელების პროცესს და აქტიურად თანამშრომლობს „პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამასთან“

3. მოდულის განმახორციელებელი მასწავლებლები მთელი წლის განმავლობაში აქტიურად გადიოდნენ ტრენინგებსა და კონსულტაციებს როგორც შიდა მხარდაჭერის ჯგუფთან, სხვადასხვა სახელმწიფო თუნ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ ტრენინგებსა და სემინარებში
4. აქტიურად მუშაობს გარე მხარდაჭერის კომპონენტთან შიდა მხარდაჭერის ჯგუფი.